



„ჯანსოვრის ვინი ჯორისა ხარ!“

გვარი და ცრადიცია

5 (43)

მაისი 2017 წ.

საქართველოს საგვარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“ სრულიად საქართველოს გვარის წინამძღოლთა დარბაზის საბჭოს გაზეთი

17 მაისი ოჯახის სიმბოლოსა და სიმინდის დღეს



საინფორმაციო ქრონიკა

– 2017 წლის 1 მაისს გაიმართა გვარების წინამძღოლთა დარბაზის შეკრება. შეკრებაზე განიხილეს 21 აპრილს ჩატარებული გვარების თვითშემოქმედების საღამოს შედეგების საკითხები.

ინფორმაცია გააკეთა საქართველოს საგვარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ვაჟა ნადირაშვილმა.

სიტყვით გამოვიდნენ: თენგიზ მაისურაძე, ბესიკ კოჭლამაზაშვილი, თენგიზ ლურსმანაშვილი. აღინიშნა საღამოს ჩატარების დადებითი ასპექტი. შეკრებაზე ნაჩვენები იქნა გვარიშვილთა ჰიმნის კლიპი.

– 2017 წლის 10 მაისს გაიმართა საქართველოს საგვარეულო-

თა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“ გამგეობის სხდომა. სხდომამ განიხილა კავშირში დისციპლინის, ჩასატარებელი ღონისძიებებში ერთობლივად მონაწილეობის ხარვეზები და ნაკლოვანებები, სანეწრო ანარიცხების გადახდის საკითხი.

2017 17 მაისის ღონისძიების – იჯახის სიმინდის დღის ზეიმში მონაწილეობის ორგანიზება დაევალა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეს თენგიზ მაისურაძეს

გადაწყდა ჩატარდეს კავშირის კრება 2017 წლის 24 მაისს.

– 24 მაისს შეიკრიბა საქართველოს საგვარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“ ნაწილი წევრები. იმის გამო, რომ ფორუმი არ იყო ამიტომ არ ჩატარდა კრება.

მადრიანი დღე ფიფიების შთაგონებად ისტორიული



ჭერკულესის მსგავსი კაცი ფიფი მეჯოგეთა ბელადად და მეთაურად ითვლებოდა, – ამბობს კოლხური ლეგენდა. ფიფიმ იცოდა ყველა გზა, ყველა მთა და ისიც, თუ რომელი მთიდან როგორი სამკურნალო წყალი გამოდის, იცოდა სამკურნალო მცენარეები, რომელთა ძირებიდან წამლებს ამზადებდა. ბუნების ენის ცოდნით წინასწარ სჯიდა, როგორ ზამთარი დადგებოდა ან როგორ ზაფხული. მრავალი სასიკვდილოდ განწირული სწული წაუყვანია მთაში და სააქაოს მოუბრუნებია. ასეთი ყოფილა ფიფი: თანაზიარი კოსმიური ჰარმონიისა, გამორჩეული წუთისოფლის მკვიდრთა შორის; დასტაქარი და ბუნების ენის შემმეცნებელი. ფიფის შთამომავლებად ითვლებიან ფიფიები. ქედადრეკილი ეგრისისა და ოხანჩუეს მთების რკალში რომ მომრავლებულან, ფიფის გზაც არ დაუგდათ და ახალი ბილიკებიც გაუკაფავთ.

ვარდობისთვის 8
ქრისტესაქეთ 2016
კვირაცხოვლობა.
ფიფიების გვარს უჩვეულოდ მადლიანი დღე უთენდება. ზუგდიდიდან, ჯვარიდან, ჩქვალერიდან, ნალენჯიხიდან, აფხაზეთიდან გეზი დედაქალაქისკენ აიღეს...

სამების ტაძარს, პატრიარქის მადლიან სიტყვას ეშურებთან.
გვარს უწმინდესი ლოცავს.
ქრისტიანული სარწმუნოების ხელდასმული მსახურნიც დეკანოზი გალაქტიონი (ფიფია) ჩვენთან არიან.

კვირაცხოვლობის დილა თენდება, ჯერაც აღდგომის საზეიმო განწყობის დღეებია. თავისთავად წარმართა საუბარი სასულიერო პირებთან, ჯერ მორიდებით, მერე უფრო თამამად ვუსვამთ მათ კითხვებს. მამა არჩილი უძინარი ჩანს, მაგრამ მაინც გვაქეზებს, რომ არ დაებრკოლდეთ; ვისაუბროთ.

წმინდანობის არსზე საუბარმა ილია მართლის სახელამდე მიგვიყვანა.

თანამოსაუბრე ჭაბუკმა (თორნიკე ფიფიამ) შემომხედა და მკითხა:
– შეგხვედრიათ ადამიანი, ვინც ილია მართლის ხატს ატარებს?
– არა.

– შე ვატარებ, – თქვა მან და მაჩვენა ილია მართლის ხატი წარწერით: „მამული, ენა, სარწმუნოება“. გავჩუმდი. გულში უჩვეულო სიტბო ჩამელვარა და ხმამალა წარმოვთქვი: დიდება უფალს! სასაუბროდ შეკრულ წრეში ზვიად ფიფიამ შეგვახსენა პოეტ დანიელ ფიფიას სახელი და მისი კრებულის გამოგზავნას დაგვიპირდა.

იდეა შეხვედრისა ნანა ფიფიამ

ითავა აქტივისტებთან მედია, ბაგრატი, ირაკლი ფიფიებთან ერთად, რაც ფიფიებმა დააფრთიანეს.

ზუგდიდში ბატონი ვაჟას ჩვეულმა შემართებამ და სიტბომ შეკრიბა ფიფიები, ყველა ჩვენგანს მეგზურად ეგუება იგი სამწყოსში... ეს ის ადამიანი ყოველ შეხვედრაზე თბილ ღიმილთან ერთად რომ შემოგაგებებს დალოცვას: „გახარებდას, გამრავლებდას სკანი გვარი;“ არც მოკითხვას დაიშურებს და თითოეული ფიფიას წარმატება განსაკუთრებით ახარებს.

ნანატრი შეხვედრაც შედგა სამების ტაძრის ვრცელ ეზოში. კვირაცხოვლობის საზეიმო წირვა მთავრდება. იკრიბებიან ფიფიები. ნანა ფაციფუცობს, რომ ეს დღე მადლის, სიტბოს, სიყვარულის შესაქრებელი იყოს. მთავარ კარიბჭეში შემობრძანეს საგვარეულო ხატი – ილორის წმინდა გიორგი, ფიფიების დროშა და გერბი. მოემართებიან ფიფიები... მხცოვანნი, ახალგაზრდები, ბავშვები. სიხარული დაჰფენიათ სახეებზე ერთად მყოფობის, მადლიანი დღის, ლოცვის, კურთხევის მოლოდინისაა ეს სიხარული. ბევრი ვართ... ტაძრის შემოგარენი ჩვენი გვარის ნაკადს დაუკავებია. გულს საამოდ ეფინება კვირაცხოვლობის ოქროცხურვილი დილით გაჩახახახებული სამების ტაძრის სივრცე და გვარის სხვადასხვა თაობის ადამიანთა სიმრავლე. თეთრჩოხიანები მოაბრძანებენ ხატსა და დროშებს. მერე:

ტაძრის ვრცელ დარბაზში ერთად შეკრებილი ფიფიები დადგნენ კელაპტრებით ხელში.

ილოცებოდა გვარი...
იდგა წუთები, თითოეული იქ მდგომის ცხოვრებაში გამორჩეული მადლიერებით რომ დარჩება.
დაილოცა გვარი. მოემართებოდნენ და კვლავ ბატონი ვაჟას ხმა აღემატებოდა ყველას:
– გილოცავთ!
– ღმერთმა დალოცვილად გატაროთ!



მერე: ყველა ჩვენგანი ცდილობდა აღებეჭდა ეს დღე ფოტოთი... სამების ტაძრის ეზოში ფიფიების ღიმილიანი სახეების სიმრავლე იყო; მოსულიყვნენ: ხანდაზმულნი, ყმანვილნი, ბავშვები, თითქოს ფიფის მემკვიდრეთა წარსული, ანმყო და მომავალი შემთლიანებოდა ერთმანეთს.

ჩოხა ახალუხიანი ჭაბუკები ბავრავტი, ირაკლი, გიორგი, ირაკლი განსაკუთრებულ ელფერს სძენდნენ მადლიან დღეს...

ვულოცავდით ერთმანეთს და ყველა იმ ფიფიას, ვინც ამა თუ იმ მიზეზით ვერ დაესწრო უგამორჩეულეს შეკრებას.

მერე: ფიქრებით განაპირებულს მახსენდებოდა საუკუნის დასაწყისის შეხვედრები ფიფიების გენიალოგიასა

და საქვეყნო სამსახურში ფიფიების გახარჯვის წრფელი სურვილით შთაგონებული.

მამინ გოჩა ფიფია ოფიციალური მოსაწვევებით მოგვინოდებდა: „ფიფიებო, ჯიშინებო, ვაჟაკურებო წელში მოუხრელებო, მუხლჩაუხრელებო, ვიყოთ ერთმანეთის და ქვეყნის ერთგულნი...“

დიდი ფიფის შთამომავლობა ფიფიას გვარს ატარებს და თუ ლეგენდები ჭეშმარიტების ელემენტებს შეიცავენ, არ გვაქვს უფლება თვითკმაყოფილებას მივეცეთ!“.



ეს იყო დღეები, როცა მამულიშვილობის, ფიფიობის სულიერი მღვიძარების წყურვილი ხელშესახებად რეალური და ქმედებისწყურვილიანი იყო. ეს ამ საუკუნის დასაწყისში, მაგრამ დრო მიუჩენს ადგილს ჟამთა კრიალოსანის თანმიმდევრულად აკინძვას და განხიანდება „რანი ვიყავით, რანი ვართ და რანი შეიძლება ვიყვნეთ“.

ფიფიების გერბზე ჯვარს ოთხ ნაწილად დაუყვია სივრცე და მეოთხედებში გვერდიგვერდ დავანებულა: ილორის წმინდა გიორგი, თეთრქიანი ხარი, მედიცინის სიმბოლო (ფიალაზე შემოკლავილი გველი) და განათლების საუკუნეების მიღმური ნიშანი – გადამლილი წიგნი და სანთელი.

დიას, გერბი ახმინანებს გერბის მფლობელთა ცხოვრების წესს საკრალურ თუ ხვალინდელი დღის წინაშე ვალდებულებასაც. საგვარეულო სალოცავ ხატად ილორის წმინდა გიორგი ითვლებოდა ოდითგანვე, ფიფის შესახებ ლეგენდას მატერიალურ განსახოვნებას ხარი ადასტურებს; მედიცინის სიმბოლოც ხომ

მინდიას უნარის მქონე ფიფის უკავშირდება და ლეგენდის ანარეკლად ქცეული აკადემიკოს ეგნატე ფიფიას სახელი რეალურ დატვირთვას სძენს მას, ის ხომ გონება და მარჯვენა ნაკურთხი დასტაქარი იყო, რომელიც სასწაულებს ახდენდა ადამიანური კეთილშობილებით ამოქმედებული ქირურგის სკაიპელით. ანმყოშიც ბევრი წარმატებული ექიმი ყავს ფიფიების გვარს. ბატონი ეგნატე შვილიშვილი გოგა ფიფია, ნინა ფიფია, სოსო ფიფია, მაია ფიფია...

ან გარდაცვლილი ქირურგი ფარვეზ ფიფია, ვინც უცილობელ შემწედ და მეოხად მიაჩნდათ განსაცდელში მყოფთ, მისი სიკეთის და პროფესიონალიზმის გაუზზარავი რწმენა ჰქონდათ ადამიანებს... იქნებ ფიფის-

გან საკრალურად გადმოგვეცა დასტაქარობის ვალდებულება, ამიტომაც მედიცინას ყველაზე წონადი სიტყვა აქვს გვარის ისტორიაში.

განათლების სიმბოლო კი (გაშლილი წიგნი და სანთელი) ამთლიანებს საზოგადო ვალს, ხვალინდელი გზისა და ადამიანური ყოფიერების ნათლიერების სურვილს.

დიდხანს შემოვრჩით წმინდა სამების ტაძრის ეზოს ბატონი გელა ბირაშვილი პროფესიონალის სისხარტითა და დახვეწილი ეტიკეტით ამ განუმეორებლად ღირსეული დღის

მატიანეს გვიქმნიდა ფიფიებს. ნანა ფიფიამ გვაუწყა, რომ რესტორანი „აფხაზეთი“ გველოდებოდა სატრაპეზოდ. აფხაზეთში დაბრუნების ზეიმის ოცნება, სევდა აფხაზეთის ხსენებაზე შეერწყა ამ ლამაზ დღეს. გულისამაჩუყებელი იყო აფხაზეთიდან გადმოსული (ამ სიტყვასაც შევეჩვიეთ სამწუხაროდ) ფიფიების სევდიანი მზერა, საუბარი, ოცნება ე. წ. საზღვრის გარეშე მიმოსვლისა.

იქ კი „აფხაზეთში“ მამა გალაქტიონმა და მამა არჩილმაც (ფიფიები) დალოცეს გვარი, მოგვილოცეს კვირაცხოვლობა, მადლიანი პური-მარლის მეთაურობა გვარმა ბატონ ვაჟას მიანდო. „აფხაზეთში“ სიყვარული ზეიმობდა, სადღეგრძელოს ცეკვა-სიმღერა ენაცვლებოდა. დარბაზის კუთხეში დაბრძანებულ საგვარეულო დროშასა და გერბთან სურათებს ვივლებდით. ჩვენს თავყრილობას ყავდა უხუცესი ქალბატონი 96 წლის ზინაიდა ფიფია სპეტაკი ჭალარითა და ნათელი ღიმილით გამორჩეოდა ყველასგან. ყველაზე პატარა 2 თვის დაჩი ფიფია ჩაფხუტით და ჩოხა-ახალუხით იყო მორთული.

წინაპრების მიერ ნაანდერძევი ზომიერი ლხინი ბატონმა ვაჟამ კურთხეული გზისა და ხვალინდელი დღის დღეგრძელობით დაასრულა.

განსაკუთრებული მადლიერებით გამოვემწივდებთ შეხვედრის ორგანიზატორებს: ნანა, ირაკლი, მედია, ბაკურ, ირაკლი ფიფიებს. ნანა კოლხი ქალბატონის ჩვეულებისამებრ არავის, არც ერთ ადამიანს არ ტოვებდა უყურადღებოდ, ისეთი გაფაციცებული იყო, თითქოს საკუთარ ჭერქვეშ ჰყოლოდა სტუმრად თითოეული ჩვენგანი... ისევ გზა – ამჯერად აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. დალოცვას, კურთხევას, პერიოდული შეკრებების გადწყვეტილებას საქმეც მოჰყვა. 2017 წლის მაისში ფიფიები ზუგდიდში შეიკრიბნენ, ამჯერად წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარში, რომლის წინამძღვარიც მამა არჩილია (ფიფია). ახლად ნაკურთხი ტაძრის ვრცელ ხეივანში დავანა ამჟამად ერთად ყოფნისა და დალოცვის მადლთან ზიარების სიხარულმა. საგვარეულოს

← სახელით დაგეგმილ ღონისძიებებზე ისაუბრეს ბატონმა ვაჟამ და ქალბატონმა ნანამ. მომდევნო შეხვედრაც იქვე დაიგეგმა: ბიზნესმენმა რომან ფიფიამ თავისი

გვარი ჯვარში დააბატიყა. ეს ჩანაფიქრიც არ დარჩენილა აღსრულების გარეშე. ბატონმა რომანმა, თავისი დიდი ოჯახით, ისტუმრა ფიფიები. სოფელ ლიაში წმინდა გიორგის სახელობის ტა-

ძარში გიორგობის ზეიმზე შეკრებილი ფიფიები წირვის შემდეგ ჯვარში გაემართნენ. მასპინძელმა მათ დღესასწაული და კიდევ ერთი ერთად ყოფნის დღე მიულოცა. ზეიმის ქარბორბალა

დაატრიალეს ქართული ცეკვით ყმანვილებმა და გოგონებმა, ქართული ჰანგებით კი ყველას მეტობდა ჯეოსტარის გამარჯვებული ვანო ფიფია. სოფელ ჩქვალერის მოსახლეობის სახელით როენა ფიფიამ ბატონ რომანს გადასცა სიმბოლური საჩუქარი – თეთრი ნაბადი. ამაღლებული განწყობა სუფევდა, მასპინძელმა აღნიშნა, რომ წელიწადში ერთხელ მაინც შეკრების ტრადიციის შენარჩუნებისთვის თითოეულმა ჩვენგანმა უნდა იზრუნოს.

დიახ, გაგრძელდება კურთხეული გვარის კურთხეული შეხვედრები. შეგვეწვევა წმინდა გიორგი, რომ შემატოს გვარს შთამომავლობისთვის საამაყო, ქვეყნის წინაშე ღვაწლმოსილი ადამიანები. ზუსტად ერთი წელი გავიდა, რაც პატრიარქმა დალოცა ჩვენი გვარი და ეს მაღლი საუკუნეების მანძილზე გაჰყვება ჩვენს გვარს.

ნესტან ფიფია
ფილოლოგიის დოქტორი
ასოცირებული პროფესორი



კ. ა. მერეცკოვი
საბჭოთა კავშირის მარშალი

წინაღმდეგ

ჟურნალმა „ისტორიანი“ 2016 წელს (დასაწყისი #59) დაბეჭდა ნაწყვეტები დიმიტრი ქუშიშვილის წიგნიდან „500 დღე და დამე მტრის ზურგში“. როგორც ჟურნალი იტყობინება ეს წიგნი არის დოკუმენტური ხასიათის და მემუარულ ჟანრს განეკუთვნება.

ჟურნალის #70-ში (2016 წლის ოქტომბერი) ავტორი დიმიტრი ქუშიშვილი მიუთითებს სტალინის ოთხ შეცდომაზე და მას უჭკუოს უწოდებს. (გვ. 114).

რამდენად კომპეტენტურია აღნიშნული პიროვნება ამ საკითხებში, ამის განსჯა თქვენთვის მოგვიწოდია.

გთავაზობთ ნაწყვეტს საბჭოთა კავშირის მარშლის კირილე ათანასის-ძე მერეცკოვის წიგნიდან „ხალხის სამსახურში“ – სათაურით „წინააღმდეგ“. ნაწყვეტი დაიბეჭდა 1968 წელს გაზეთ „წიგნის სამყაროში“ #3.

1940 წლის ზაფხულში თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილედ დამინიშნეს. სახალხო კომისრად დაინიშნა ს. კ. ტიმოშენკო, მთავარი საარტილერიო სამმართველოს უფროსად – ნ. ნ. ვორონოვი. შესაბამისი დანიშნულებანი ხვდა წილად ფინეთის კამპანიის ბევრ სხვა მონაწილესაც. აქედან ჩანს, რომ პარტია და მთავრობა ისწრაფვოდა დაჩქარებული ტემპებით დაენერგა არმიაში ომის გამოცდილება. საერთაშორისო ვითარება უფრო და უფრო უარესდებოდა. ფაშისტური გერმანიის აგრესია მატულობდა...

ზაფხულის მიწურულს თავდაცვის კომისარმა თავის მოადგილეებთან ერთად სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს მოახსენა ოლქებში მოგზაურობის შედეგები. მსროლელთა შენაერთების მომზადება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალა, არტილერიის მომზადება და ქვეით ჯართან მისი ურთიერთქმედების უნარი – კარგად შეფასდა, ავიაციის მომზადება – დამაკმაყოფილებლად. სხვადასხვა შთაბეჭდილება შეიქმნა სატანკო ჯარების თაობაზე. მე ვცდილობდი ყურადღებით მედევენებინა თვალისა და ყურის ახალი როლისთვის, რაც გამომდინარეობდა ჩვენი გამოცდილებიდან და დასავლეთ ევროპაში გერმანიის არმიის ოპერაციითა გამოცდილებიდან, და იმ აზრისა ვიყავი, რომ ჯერ კიდევ ცოტა ვცხადავ სატანკო შენაერთები და კოპუსები, და ისინიც არასაკმარის იყვნენ მომზადებულნი. სახალხო კომისარი უფრო ოპტიმისტური აზრისა იყო.

სხდომის შემდეგ, როგორც ხდებოდა ხოლმე ასეთ შემთხვევებში, ი. ბ. სტალინის ბინაში ვივარდნებო. იქ კვლავ იყო სჯა-ბაასი, სამხედრო საკითხებს ვიხილავდით. უცებ სტალინმა თქვა:

–ჩვენ ამჟამად გვესაჭიროება გენერალური შტაბის უფრო ახალგაზრდა, ჯანმრავალი უფროსი. ამხანაგი შაპოშნიკოვი ამ ბოლოს დროს მოიავადმყოფებს. ესეც არ იყოს, აუცილებელი შეიქმნა მისი გამოყენება სხვა სამუშაოზე. დიდი მშენებლობანი მიმდინარეობს გამაგრებულ რაიონებში. ჩვენ შეგვეძლო ბორის მიხაილოვიჩი დაგვენიშნა სახკომის მოადგილედ ამ რაიონთა აგება-შენების დარგში. რას იტყვით, ამხანაგებო, ვინ შეიძლება დაგვენიშნა გენერალური შტაბის უფროსის პოსტზე? ველი თქვენს რეკომენდაციებს.

ჩემდამოულოდნელად იქ მყოფებმა ჩემი გვარი დაასახელეს, ამას იმით ასაბუთებდნენ, რომ მე მაქვს საგანგებო მომზადება, მონაწილეობა მიმიღია ბრძოლებში, ვყოფილვარ ოლქების სარდალი და უკვე ვმუშაობდი გენერალურ შტაბში. ი. ბ.

სტალინმა მკითხა, რას იტყვითო. მე კატეგორიული უარი განვაცხადე, ძალზე მძიმე სამუშაოა და საკმარისი გამოცდილება არა მაქვს–მეთქი.

–იცი რა, – მითხრა ი. ბ. სტალინმა, – მოდი ასე შევთანხმდეთ: თქვენ დაუყოვნებლივ შეუდექით მუშაობას, ხოლო როგორც კი შევარჩევთ სხვა კანდიდატს, მაშინვე შეგცვლით, გულს არ დაგწყვეტო, შესაფერის ადგილზე გავგივებთ, დღეს ამით დავამთავროთ.

მეორე დღეს შევუდექი ახალ მოვალეობათა შესრულებას.

გვიან შემოდგომაზე ბელორუსიის სამხედრო ოლქში საომარი თამაშის ჩატარებისთვის ვემზადებოდით. თავდაცვის სახალხო კომისარიატმა არაერთგზის დანიშნა სათანადო დღე. მაგრამ საკმარისი იყო თავი მოგვეყარა, რომ თამაში გადაიდებოდა ხოლმე. მთავრობა ფრთხილობდა, საზღვრისპირა ოლქში ამ თამაშის ჩატარება გერმანელების ყურადღებას მიიპყრობსო, და ცდილობდა არ გაერთულებინა გერმანიასთან ურთიერთობა, რაც შეიძლებოდა შორს გადაენია მასთან შეტაკება, თანდათან რომ მნიფდებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, ი. ბ. სტალინმა სანქცია მოგვცა, ოღონდ გვირჩია ამ სასწავლო მეცადინეობის ჩატარების ხელმძღვანელად გაგვეგზავნა გენერალური შტაბის ოპერატიული განყოფილების უფროსი, ჩემი პირველი მოადგილე ნ. თ. ვატუტინი.

–სწავლებას ტიმოშენკომ ან მერეცკოვმა რომ უხელმძღვანელონ, – თქვა მან, – გერმანელები ყველაფერს იღონებენ; რათა გამოარკვიონ მისი ხასიათი. საერთოდაც, ჩვენთვის ხელსაყრელი არაა გერმანიამ იცოდეს, თუ რას საქმიანობენ ახლა თავდაცვის კომისარი და გენერალური შტაბის უფროსი. სჯობს ვატუტინი გამგზავროს, ვითომდა საინსპექციო მიზნებით მიდის.

თამაშმა კარგად ჩაიარა, მისი შედეგები მთავრობამ დადებითად შეაფასა. მალე თავდაცვის კომისარიატმა და გენერალურმა შტაბმა გადაწყვიტეს ჩატარებინათ წითელი არმიის მეთაურთა უმაღლესი შემადგენლობის საერთო შეკრება. 23 დეკემბრისთვის მოსკოვში მოიწვიეს გაერთიანებულ სარდლები, ოლქების სამხედრო საბჭოების წევრები და შტაბების უფროსები, აგრეთვე შენაერთთა ზოგი მეთაური. თათბირზე განიხილებოდა ჩვენი შეიარაღებული ძალების მომზადების ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საკითხები. უკვე მიმდინარე მეორე მსოფლიო ომის პირობებში ამ თათბირმა განსაკუთრებით დადებითი როლი ითამაშა. პრაქტიკულად მეთაურთა უმაღლესმა შემადგენლობამ

ამ თათბირზე მიიღო მიზანდასახულობანი საბრძოლო მომზადების ყველა დარგში.

...1941 წლის იანვრის დამდეგს თათბირის მონაწილეთა უმრავლესობა თავთავის ადგილას გაემგზავრა. არმიის ხელმძღვანელ მუშაკთა ჯგუფი დარჩა რუკებზე ოპერატიული თამაშის ჩასატარებლად. თამაშმა მეტად საინტერესოდ ჩაიარა და ძალიან სასარგებლოც გამოდგა. უფრო მეტიც, ომის მსვლელობაში და ომის დამთავრების შემდეგ გამოირკვა, რომ ფაშისტური ჯარების უმთავრეს დარტყმათა მიმართულებანი ემთხვეოდა თამაშის დროს მოცემულ ნამგებიან დარტყმებს. სხვგვარად რომ ვთქვათ, ჩვენ ომის დაწყებამდე 6 თვით ადრე სწორად შევაფასეთ მტრის დარტყმათა შესაძლო მიმართულებანი. იმ ძალთა თანაშემწეობას, ორივე მხარეს რომ წარმოადგენდნენ, საფუძვლად დაედო მონაცემები, რომლებიც დამახასიათებელი იყო ჩვენი და გერმანიის არმიის ნამდვილი მდგომარეობისათვის. ეს ყველას როდი მოეწონა. უფრო ზუსტად, არ მოეწონათ ჩვენი გამოანგარიშებანი, რომელთა მიხედვითაც გამოვიდა, რომ გერმანელებსა და მათ მოკავშირეებს იმჯერად უფრო მეტი საბრძოლო მზადყოფი დივიზები ჰყავდათ, უკეთესი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა ჰქონდათ და ამას ემატებოდა ომის გამოცდილება. არმიის ხელმძღვანელთა და პარტიის წარმომადგენელთა ვინრო წრეში მე და ნ. თ. ვატუტინმა ასეთი აზრი გამოვთქვი: თუ გერმანიასთან ომი 1942 წელს დაიწყება ძალთა შეფარდება ჩვენთვის ხელსაყრელად შეიცვლება. ხოლო თუ 1941 წელს დაიწყება, დროის სიმცირის გამო ჩვენს არმიაში განსაკუთრებული ცვლილებები არ მოხდება, და ეს აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ შეტაკებისთვის მზადებისას.

თამაშის მონაწილეთა ჯგუფი მოულოდნელად იხმეს კრემლში. სხდომა შესდგა ი. ბ. სტალინის კაბინეტში. მე შემომთავაზეს დამეხასიათებინა უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობის დეკემბრის შეკრებისა და იანვრის ოპერატიული თამაშის მსვლელობა. ყოველივე ამისთვის მომცა 15–20 წუთი. როცა თამაშის საკითხამდე მივედი, მხოლოდ მონიშნულდგეგის მოქმედებაზე მოვასწარი თქმა, ამის შემდეგ ფაქტიურად დამთავრდა განხილვა, ვინაიდან სტალინმა დამინიშნა შეკითხვების მოცემა.

ამ შეკითხვების არსი იყო გერმანიის არმიის შესახებ უკანასკნელ თვეებში მიღებული ცნობების შეფასება დასავლეთ და ჩრდილოეთ ევროპაში იმ არმიის მიერ ჩატარებული ოპერაციების ანალიზთან დაკავშირებით. ჩემს მოსაზრებებს, რომლებიც

ემყარებოდა მონაცემებს ჩვენი ჯარების შესახებ და დაზვერვის ცნობებს, შთაბეჭდილება არ მოუხდენია. ნ. თ. ვატუტინმა სცადა სიტყვის აღება, მაგრამ არ მისცეს. ი. ბ. სტალინმა თავდაცვის სახალხო კომისარს მიმართა. ს. კ. ტიმოშენკომ მხარი არ დამიჭირა და სხვა მოსაზრება გამოთქვა.

იქ დამსწრეთაგან სხვას არავის უთხოვია სიტყვა ი. ბ. სტალინმა კაბინეტში გაიარ-გამოიარა, შეჩერდა, ერთ ხანს სდუმდა და მერე თქვა:

—ამხანაგმა ტიმოშენკომ გენერალური შტაბის უფროსად ამხანაგ შუკოვის დანიშვნა ითხოვა. მოდის, დავეთანხმობ!

ბუნებრივია, სანინალმდეგო აზრი არავის გამოუთქვამს. მეც კმაყოფილი ვიყავი. ი. ბ. სტალინმა შეასრულა ამ ხუთი თვის წინათ მოცემული სიტყვა. მე დამაბრუნეს თავდაცვის კომისრის მოადგილის თანამდებობაზე და კვლავ ჩავეფალი ჯარების საბრძოლო მომზადების საკითხებში. გიორგი კონსტანტინეს ძე შუკოვი მე მიმაჩნდა ჩვენს მხედართმთავართაგან ყველაზე უფრო მომზადებულად გენერალური შტაბის უფროსად მუშაობისთვის.

ძველ თანამდებობას რომ დავუბრუნდი, მაცნობეს, რომ ოპერატიული ბარათი, რომელიც თავის დროზე წარვეუდგინე ი. ბ. სტალინს, მას განეხილა და დაემტკიცებინა.

შუკოვი გენერალური შტაბის უფროსად სამი დღის დანიშნული იყო, რომ ი. ბ. სტალინმა გამოიძახა. კაბინეტში რომ შევედი, მომესალმა და გაჯავრებით მითხრა:

—რატომ აღარ მომახსენებთ მიმდინარე საქმეებს?

—ამხანაგო სტალინ, მე თვითონ არც მანამდე დავდიოდი აქ. თქვენ გამოიძახებდით ხოლმე და მეც ვცხადდებოდი.

—მერედა ჩემთან განსახილველად რატომ არ მოგაქვთ მექანიზირებული კორპუსების შექმნის გეგმა?

—იმ გეგმის პროექტი თქვენი შესწორებებით, ამხანაგო სტალინ, გადაიბეჭდა. შუკოვმა თქვა, რომ თვითონ მოგახსენებთ.

—მე და შუკოვმა უკვე ვისაუბრეთ. მას უნდა ორჯერ მეტი მექანიზირებული კორპუსები, ვიდრე იქაა გათვალისწინებული.

—თქვენ იცით ჩემი მოსაზრება. მე არ გადამიფიქრებია. ამჟამად ახალი ტანკები ცოტა გვაქვს. წლევანდელი ზაფხულისთვის დაგეგმილი კორპუსები მზად არ გვექნება. შუკოვის აზრი გაორკეცების შესახებ საუცხოო გახლავთ, ოღონდ მატერიალური შესაძლებლობანი არა გვაქვს. მისი წინადადება შეგვეძლება განვახორციელოთ მოგვიანებით, როცა მატერიალური ბაზა გვექნება.

შემდგომი საუბრის მსვლელობისას სტალინმა აღნიშნა, რომ ომის გარეშე დარჩენას 1943 წლამდე, რა თქმა უნდა, ვერ მოვახერხებთ. ძალაუნებურად ჩავგვიტრევენ. მაგრამ გამორიცხული არაა, რომ

1942 წლამდე ომის გარეშე დავრჩეთ. ამიტომ კიდევ გვექნება მსჯელობა იმის თაობაზე, თუ რა წესით მოხდება მექანიზირებული კორპუსების მწყობრში ჩაყენება. ამჟამად აუცილებელია უმთავრესი ყურადღება მიექცეს ჯარების წერტნას. პოლიტიურის აზრით, მითხრა ი. ბ. სტალინმა, თავდაცვის სახალხო კომისარიატი გაძლიერდა, რაკი მე კვლავ იქ დამაბრუნეს, და ჩემგან მოელიან აქტიურ საქმიანობას.

ასე დასრულდა ეს საუბარი. მეორე დღეს მე მთლიანად არმიის საბრძოლო და სასწავლო მომზადებაზე გადავედი. ამის შემდეგ ომის დაწყებამდე ი. ბ. სტალინს იშვიათად ვხვდებოდი.

1941 წლის გაზაფხულზე სამხედრო სწავლებას დავესწარი ლენინგრადის ოლქში, რომელსაც გენერალ-პოლკოვნიკი მ. მ. პოპოვი სარდლობდა. ამ ჩასვლის შედეგი წარმატებითა და მიმაჩნია. მეთაურთა შემადგენლობამ დასახული ამოცანები სწორად გადასჭრა. ჯარები კარგად ემზადებოდნენ. მერე გავემგზავრე კიევი საგანგებო სამხედრო ოლქში. მაისის ბოლოს ოლქის შტაბის ოპერატიული განყოფილების უფროსმა ი. ბ. ბაგრაჩიანმა მომახსენა შექმნილი მდგომარეობა.

ომი ახლოვდებოდა. გერმანიის ჯარები თავს იყრიდნენ ჩვენს საზღვრებთან. ბაგრაჩიანმა დამისახელა მეტად შემაშფოთებელი ციფრი, რაც უფრო და უფრო მატულობდა. ვიდრე მოსკოვს მოვახსენებდი, გადავწყვიტე ერთხელ კიდევ ხელახლა შემემოწმებინა ყველაფერი. გავემგზავრე ქ. ლვოვს, მოვიარე ოლქის ჯარები.

მერე მოვიარე საზღვრისპირა ნაწილები. ყველა ნაწილი ფხიზლად იყო და თითქმის ყველგან ამბობდნენ, „იქითა მხარეს“ საქმე სასიკეთოდ ვერააო. საზღვრიდან ლვოვში დავბრუნდი. ლვოვს მე-6 არმია იფარავდა. აქ დაშვებული იქნა შეცდომები. თითქმის მთელი საზენიტო არტილერია ერთდროულად იცვლებოდა, ხოლო ტანკსანინალმდეგო საარტილერიო ბრიგადამ დაჰკარგა თავისი საბრძოლო მზადყოფნა...

ორი კვირის მერე კი თავს დაგვატყდა ომი. მე-6 არმია გამირულად იბრძოდა, მაგრამ ვერ გაუმკლავდა გერმანული ჯგუფის „სამხრეთის“ ტანკებს...

.... მოსკოვში ს. კ. ტიმოშენკოსთან ერთად ვენვიე ი. ბ. სტალინს და უკამბე ყველაფერი, რაც კი ვნახე. ორივე დიდი ყურადღებით მოეკიდა ჩემს მოხსენებას, კერძოდ, დამავალეს დამატებით შემემოწმებინა ავიაციის მდგომარეობა, ხოლო თუ მოვახერხებდი, ჩამეტარებინა საბრძოლო განგაში. მე დაუყოვნებლივ გავფრინდი დასავლეთის საგანგებო სამხედრო ოლქში.

როცა სამხრეთ საზღვრების მდგომარეობას გავვეცანი და ოლქის სარდლის დ. გ. პავლოვის მოხსენება მოვისმინე, დავრწმუნდი, რომ გერმანია აქაც თავს უყრიდა თავის ძალებს. მერე ბალტიისპირეთის საგანგებო სამხედრო ოლქში გავემგზავრე. ოლქის სარდლის მოადგილემ ე. პ. საფრონოვმაც

მომახსენა, გერმანიას ჯარები საზღვართან თავს იყრიანო. მე მოსკოვს გავფრინდი. ყველაფერი დაუფარა მოვახსენე თავდაცვის კომისიას. ტიმოშენკომ ჩემს იქ ყოფნაშივე დაურეკა ი. ბ. სტალინს და მაშინვე წავიდა მასთან მოსახსენებლად...

საკ. კპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს და სსრკ მინისტრთა საბჭოს უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ ადგილებიდან მოსული შემაშფოთებელი ცნობები. თავდაცვის კომისარიატს მიეთითა კიევის საგანგებო სამხედრო ოლქში შეექმნა სამხრეთ-დასავლეთის საფრონტო მმართველობა. სამხრეთის ფრონტის ასეთივე მმართველობის შესაქმნელად გაემგზავრა ოპერატიული ჯგუფი ი. ვ. ტიულენევის მეთაურობით.

მაისსა და ივნისში ოლქებისა და არმიების შტაბებში დიდი სამობილიზაციო ღონისძიებაში ტარდებოდა.

დასავლეთის საზღვრებისკენ გადაყვანილ იქნა ხუთი არმია: მე-16, მე-19, მე-20, 21-ე და 22-ე. სარდალთაგან განსაკუთრებით გამოიჩინა თავი მე-19 არმიის სარდალმა ი. ს. კონევემ. კიევის საგანგებო სამხედრო ოლქში, მიღებული იქნა აგრეთვე სხვა გადაუდებელი ღონისძიებანი, სასწრაფოდ ყალიბდებოდა 7-9 მექანიზირებული კორპუსები.

მუშაობის საერთო მიმართულება ასეთი იყო: უშუალოდ სასაზღვრო ზონაში არ მოხდეს არაფერი ისეთი, რაც პროვოცირების საშუალებას მისცემს ფაშისტებს ან რაიმენაირად დააჩქარებს ჩვენს წინააღმდეგ მათ გამოლაშქრებას: განხორციელდეს ღონისძიებანი, რომლებიც აუცილებელია ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გასამტკიცებლად, ოღონდ იმრიგად, რომ გერმანულმა დაზვერვამ ეჭვი ვერ აიღოს. თავდაცვის სახალხო კომისარიატს ასეთი ინსტრუქცია მოსდიოდა ზევიდან ბუნებრივია, თვით თავდაცვის კომისარიატიც ატარებდა ასეთსავე ხაზს, რომელიც მთლიანად შესატყვისებოდა სახელმწიფო პოლიტიკას.

შესაძლოა წამოიჭრას კითხვა: რა როლი ითამაშა ფაშისტთა სარდლობის თვალში ჩვენმა მიზანდასახულობამ — ყოველნაირად შეგვენიღბა სსრკ კავშირის მზადება თავდაცვისათვის და არ მოგვემოქმედნა არაფერი, რაც მტერს დააჩქარებინებდა მოვლენათა მსვლელობას? გადასდო თუ არა ამან ომი, თუ, პირიქით, უფრო მოგვიახლოვა? პასუხი შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს. ჩვენ ხომ ვერასოდეს შევიტყობთ ზუსტად, თუ რას იღონებდა ფაშისტთა ხელმძღვანელობა, როცა ნახავდა ჩვენს უფრო აქტიურ ან თუნდაც უფრო აშკარა მზადებას მტრის მოსაგერიებლად: დააჩქარებდა სსრკ კავშირზე თავდასხმას, თუ, პირიქით, გადასდებდა. მაგრამ ერთი რამ უეჭველად აშკარაა. როგორც ჩანს, იმ რთულ ვითარებაში სწორი იყო დროის მოგებაც, რათა ყოველგვარი ხელმისაწვდომი საშუალებებით გადაგვეწია ომი და არ შეგვეზღუდა საბრძოლო მზადყოფნისთვის შეიარაღებულ ძალთა დაუყოვნებლივი მომზადებაც.

მაითხველთა საყურადღებოდ!

მოწოდებული მასალების შინაარსზე და ფაქტების სისწორეზე რედკოლეგია პასუხს არ აგებს.

ყველა საგვარეულო კავშირს, ყველა წინამძღოლს, ყველას ვინც ერთგულია საგვარეულო მოძრაობის, ვინც საკუთარი გვარის პატრიოტია

გთხოვთ ითანამშრომლოთ გაზეთ „გვარი და ტრადიციასთან“, მოგვანოდეთ მასალები (სტატიები, ინფორმაციები, ფოტოები) საგვარეულო კავშირების შესახებ, საგვარეულო მოძრაობის, საქართველოს დემოგრაფიულ და სოციოლოგიურ, აგრეთვე ეროვნულობის და მართმადიდებლობის შენარჩუნებისა და განმტკიცების პრობლემატურ საკითხებზე, ვიზრუნოთ საგვარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“ და გვარის წინამძღოლთა დარბაზის მატერიალურ-ფინანსურ და ტექნიკური ბაზის განმტკიცება განვითარებისათვის. მასალები გამოგვიგზავნეთ E-mail: vaja39@mail.ru

ISSN 2449-2280
გაზეთის ელექტრონული ვერსია იხილეთ: www.dspace.nplg.gov.ge

ჩვენი რეკვიზიტებია:

სრულიად საქართველოს გვარის წინამძღოლთა დარბაზის ფონდი
ს/კ 404953154
ბანკი: „რესპუბლიკა“ ბანკი
ა/ა **GE51BR0000010385861378**

მისამართი: ქ. თბილისი, წმინდა სამების საკათედრო ტაძარი
საკონტაქტო ტელეფონები: 790770871; 593 531 950

სარედაქციო კოლეგია

ლევან ფრუჩია
ვაჟა ნადირაშვილი
თინათინ მაისურაძე
მერაბ ლეკვიშვილი
ნინო სულამანიძე
ტელ: 599 90-26-01
ტელ: 599 97-41-90
ტელ: 577 41-02-00
ტელ: 592 12-34-56

მისამართი: ქ. თბილისი, წმინდა სამების საკათედრო ტაძარი
საკონტაქტო ტელეფონი: 790770871